

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 13
(მომსახურების შესყიდვა)

ქალაქი ფოთი

08 აპრილი 2020 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

1.1 ერთი მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მელიორაცია“ (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბ გულორდავას სახით და მეორე მხრივ, შპს „მათე 2019“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ჰამლეტ კუჭუხიძის მინდობილი პირის გიგა ხაჟომიას (მინდობილობა N190088772 29.01.2019წ) სახით, ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დადებულ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში- ხელშეკრულება) შემდეგზე:

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს: ქ. ფოთის მუნიციპალიტეტში სატუმბო სადგურების ავანკამერების, სანიაღვრე არხების გაწმენდისა და მის შედეგად ამოღებული მასის გასატანად სატვირთო თვითმცლელი ავტომანქანის მძღოლ-ოპერატორთან ერთად დაქირავება.

სატენდერო განცხადების ნომერი: NAT 200006105

შესყიდვის კატეგორია: 60100000 - საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებები.

კლასიფიკატორის CPV კოდი 60181000 სატვირთო მანქანების დაქირავება მძღოლთან ერთად.

2.2 შესყიდვის ობიექტის დეტალური აღწერა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.3 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები, რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო ღირებულება მოცემულია ხელშეკრულების დანართი N1 -ში ფასების ცხრილი, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს შეადგენს **29146,00 (ოცდაცხრაათას ასორმოდამეცხსი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.**

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მომსახურების მოწოდებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.3 სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით.

4. მომსახურების მოწოდების ვადა, ფორმა და ადგილი

4.1. მომსახურების მოწოდების ვადა: მომსახურების მოწოდება უნდა განხორციელდეს ხელმოწერის დღიდან 2020 წლის 31 დეკემბრამდე.

4.2 მომსახურების გაწევის ფორმა: მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად.

4.3 მომსახურების მოწოდების ადგილი: ქალაქი ფოთი, გეგიმის ქუჩა N12.

5. მხარეების უფლებები და მოვალეობები

5.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

5.1.1 შეამოწმოს მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

5.1.2 განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების დაცვაზე.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია:

5.2.1 წერილობით აცნობოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებით გამოვლენილი ხარვეზების შესახებ;

5.2.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან მოახდინოს ამ ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

5.3.1 მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

5.4.1 განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

5.4.2 პასუხი აგოს ნებისმიერი კომუნიკაციის: ელექტრო, ინტერნეტის კაბელის, წყალსადენის, კანალიზაციის მილისა და

ბეტონის არხის დაზიანების შემთხვევაში.

5.4.3 განახორციელოს შემსყიდველის ინფორმაციული უზრუნველყოფა მიწოდებული მომსახურების შესახებ;

5.4.4 გააფრთხილოს შემსყიდველი მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ.

5.4.5 ტექნიკის დაზიანების შემთხვევაში უზრუნველყოს 2 დღის ვადაში მისი შეკეთება ან/და იდენტური ტექნიკით ჩანაცვლება.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე, მათ შორის მომსახურების ხარისხის პერიოდული კონტროლი.

6.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მელიორაცია.

6.3 კონტროლის შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს მიზეზების მითითებით.

6.4 გამოვლენილი დეფექტების ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ კონტროლთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს - ა(ა) იპ “ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მელიორაცია“-ს დირექტორი ზურაბ გულორადავა.

7.2 მომსახურება ჩაითვლება მიღებულად, მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

8. ანგარიშსწორების პირობები და ვადები

9.1 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

9.2 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში. ყოველთვიურად ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების შესაბამისად, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომლის გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუზიაროს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმდებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-13 მუხლის შესაბამისად.

10. მხარეების პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

10.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებული იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

10.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

10.4 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი წერილობით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

10.5 თუ მიმწოდებელი გაფრთხილების (გონივრულ ვადაში) შემდეგაც არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება. ასევე დააკისროს ხელშეკრულებით

გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 20%-ის ოდენობით.

10.6 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

10.7 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით შეუსრულებელი ვალდებულებების ღირებულებების 0.02 პროცენტის ოდენობით.

10.8 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.9 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 პროცენტს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

10.10 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად შესრულებული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეებს შორის წარმოქმნილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რაც უნდა გაფორმდეს წერილობით.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში. აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს წერილობით 10 დღით ადრე.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2021 წლის 10 თებერვლის ჩათვლით, გარდა ხელშეკრულებით განსაზღვრული იმ ვალდებულებებისა, რომელთა არსებობაც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, (მაგრამ ანაზღაურება მოხდება ამ დღეების გამოკლებით) თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომასა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, მათ შორის კოვისპირული წვიმებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ ათავისუფლებს ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა დებულებები

16.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16.2 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

16.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

16.5 მიმწოდებლის სატენდერო წინადადება - განფასება თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

17. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

ა(ა)იპ ალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მელიორაცია

ს/კოდი 415106799

მისამართი: ქ. ფოთი, გეგიძის ქუჩა N12

ტელეფონი: 571-72-76-75

ელ-ფოსტა: melioraciapoti@gmail.com

საბანკო რეკვიზიტები:

ანგ. N GE24NB 0330100200165022

სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22

დირექტორი

ზურაბ გულორადავა

შპს. „მათე“

ს/კ 438732178

მისამართი: სამტრედია. ამირან ბახტაძის ქN188

ტელეფონი: 599 90 83 23

ელ-ფოსტა: sixa3@mail.ru

საბანკო რეკვიზიტები: BAGAGE22

ანგ. GE51BG0000000131291332

დირექტორის მინდობილი პირი

გიგა ხაჯომია

ფასების ცხრილი

N	ტექნიკის დასახელება	მახასიათებლები	რეისების რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (დღგ-ს გარეშე)	მთლიანი ღირებულება (დღგ-ს გარეშე)
1	სატვირთო თვითმცლელი	ტვირთამწეობა უნდა იყოს არანაკლებ 9 ტონისა და არაუმეტეს 12 ტონისა, საბარგული სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს მიწიდან 2 მეტრს.	400	61,75	24700,00
სულ (დღგ-ს გარეშე)					24700

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქალაქი ფოთი

08 აპრილი 2020 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მელიორაციის დირექტორი ზურაბ გულორდავა ვადასტურებ, რომ შპს „მათე 2019“-თან არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში.

ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მელიორაციის
დირექტორი **ზურაბ გულორდავა**